# სარბიელი

სპორტული გაზეთი | შაბათი 16 აგვისტო 2003 №153 (1924) | ფასი 50 თეთრი


# დღეს ინგლისი ინგლისს დაემსგავსება

## ბაბილონის გოდოლი ფეხბურთით შენდება

დღეს პრემიერლიგა იწყება. კიდევ ერთხელ იწყება ფეხბურთის ერთ-ერთი საუცხოო და ფერადი შეჯიბრი, რომელიც, სხვა რომ არა იყოს რა, მთელს წელიწადს გაატანინებს თავს ფეხბურთის მოყვარულს.

პრემიერლიგა კიდევ ერთხელ მოდის თავისი წარმოუდგენლად ხასხასა მინდვრებით, ომით, სირბილითა და ძვლების ღრჭიალით, მოუსვენრობით, უტეხობით და ნამდვილი გმირებით, მოთამაშეთა და მაყურებელთა გამოკვეთილი და მიმზიდველი ხასიათებით, მოულოდნელობებითა და ჯიგრით.

პრემიერლიგა — უზარმაზარი ბაბილონის გოდოლი, ათას ენაზე მოლაპარაკე და ათასი საფეხბურთო კულტურით გაჯერებული, მაინც რჩება ინგლისური საფეხბურთო სულის მატარებელ შეჯიბრად და მასში მაინც თამაშის ინგლისური ხერხი და პრინციპი მოქმედებს.























# ჩვენ? ნატირანალ ნაპუხოვარ ნალანძარი

15 4 ტური

**გინდათ დინამოსთან სექსი?!**

# ბოლნისს სჭირდება სასწაული, სასწაულს — ფიზიკა

*გუშინ, გამთენიისას, ბრატისლავა — ბათუმის ჩარტერულ რეისს იმედგაცრუებული ხალხი ჩამოჰყვა. ბოლნისური „სიონი" ორმოცდაათამდე ქომაგთან ერთად 0:3-ით გულგატეხილი დაბრუნდა პუხოვიდან.*

*ნაგებაცაა და ნაგებაც. ამ ანგარიშით დასამარცხებელი არაფერი გვჭირდაო, ამაზე წუხან ბოლნისელები. თუმც ყველა ერთხმად აღიარებს, „პუხოვმა" თანაბარი პირველი ტაიმის შემდეგ ფიზიკურად დაგვჯაბნა და მოსაგებიც ჰქონდაო. ქვემოქართლელები იმ 0:3-ს განიცდიან, რომლის ამოგებაც ერთობ გაუჭირდებათ შინაურ კედლებში.*

*გუშინ კლუბის უპირველეს ქომაგს, ბოლნისის გამგებელ ზურაბ ჯაფარიძეს და „სიონის" ნახევარმცველ იური გაბისკირიას დავუკავშირდით*



*ზურაბ ჯაფარიძე:* „სიონს" და „პუხოვს" შორის მხოლოდ ფიზიკურ მომზადებაში იყო სხვაობა, ეს კი საკმარისი აღმოჩნდა ჩვენს დასამარცხებლად. რა თქმა უნდა, მარცხით გულგატეხილი ვარ, მაგრამ რეალობას თვალი უნდა გავუსწოროთ. ეს ხომ ჩვენი დებიუტი იყო უეფას თასზე და დიდი გამოცდილება შევიძინეთ.

— სლოვაკებმა როგორ გიმასპინძლეს?

— ჩინებულად, ოღონდ საბაჟოზე შეგვექმნა პრობლემები. ოთხი საათი გვაყურყუტეს აეროპორტის მოსაცდელში. სხვა მხრივ ჩვენნაირი არა, მაგრამ მაინც სტუმართმოყვარე ხალხია, კარგი მასპინძლობა გაგვიწიეს.

— თავად მატჩს როგორ შეაფასებდით?

— პირველ ტაიმში მეტოქეზე უკეთ გამოვიყურებოდით. ბურთიც ჩვენებს ჰქონდათ ხშირად და რამდენჯერმე სახიფათოდაც შეუტიეს პუხოველებს. მეორე ტაიმი ხეირიანად დაწყებული არ იყო, დასანანი გოლი გავუშვით, მეტოქემ ჩვენი ელემენტარული უყურადღებობით ისარგებლა. გოლმა ფსიქოლოგიურად გატეხა „სიონი", თანაც ჩვენგან საუკეთესო ბაქრაძე დაშავდა, მისმა შემცვლელმა კვეკვესკირმა კი სუსტად ითამაშა.

— ბაქრაძის ტრავმა სერიოზულია?

— დღეს ექიმს გაესინჯება და ამის მერე გადაწყდება, ითამაშებს თუ არა საპასუხო მატჩში.

— მარიამობას რა შანსი ექნება „სიონს"?

— სხვა თამაში იქნება, მახარაძემ სწრაფ გოლზე უნდა გააკეთოს აქცენტი და ყველაფერი შეიძლება მოხდეს. „სიონს" და „პუხოვს" შორის ტაქტიკურ-ტექნიკური თვალსაზრისით არანაირი სხვაობა არ არის და თუკი ჩვენებმა ფიზიკურად გაძლეს, ქომაგის მხარდაჭერით ეგებ სასწაულიც მოხდეს. ბრძოლა შეიძლება, „სიონს" დასაკარგი არაფერი აქვს და დარწმუნებული ვარ, ღირსეულად წარდგება ერთგული ქომაგის წინაშე.

*იური გაბისკირია:* „პირველ ტაიმში რამდენიმე ხელსაყრელი მომენტი შევქმენით. ყველაზე რეალური საგოლე შანსი კოშკაძეს ჰქონდა. ჩემი პასით საჯარიმოში შეიჭრა მარცხენა ფრთიდან და კარში დაარტყა, მაგრამ მცველმა ფეხის გაშლა მოასწრო და კუთხურსლა დავჯერდით. მთელი მატჩის მანძილზე მეტი კუთხური არც ჩაგვიწოდებია.

— მსაჯობა როგორი იყო?

— ძალიან კარგი. ბულგარელები ობიექტურები იყვნენ. ამ მხრივ სასაყვედურო არ გვაქვს. რაც შევქმენით, არ დაგვიკარგეს. ორჯერ სახიფათო ჯარიმა მოვიპოვეთ, ორჯერვე გაცუდდა დარტყმა, მეორე ტაიმში კი ფიზიკურად გაგვტეხეს და საგოლე შანსი პრაქტიკულად აღარ გვქონია, მეტოქემ კი სრულად გამოიყენა შექმნილი მომენტები.

— ტრიბუნები სავსე იყო?

— დიახ, მაგრამ წყნარი ქომაგი ჰყავდა „პუხოვს", ჩვენი გულშემატკივრები უპრობლემოდ გაუმკლავდნენ მათ. ისეთი სიონური დასჭექეს, ბოლნისში მეგონა თავი... სამწუხაროა, რომ ყველაფერი ასე დამთავრდა.

— წინ ხომ საპასუხო მატჩია...

— არ გაგიკვირდეთ, მაგრამ ხელი არ ჩამიქნევია, თუკი მეტოქემ პუხოვში შეძლო სამი გოლის გატანა, რატომ ვერ უნდა გავაკეთოთ იგივე ჩვენ ბოლნისში?! ვინ წარმოიდგენდა, რომ „ტირანა" „დინამოს" გააგდებდა, მაგრამ ფეხბურთში ხდება ხოლმე ასეთი სასწაულები და ამის .იმედი მაქვს.

ამიტომ ვფიქრობ, რომ ყველაფერი 28 აგვისტოს გადაწყდება.

**ბაატა ძმანტალიანი**

## გერმანია

**II ბუნდესლიგა. III ტური**

აუე 2:1 უნიონი
კარლსრუე 1:2 ობერჰაუზენი
ლიუბეკი 0:2 უნტერჰახინგი

**ჩრდილოეთ რეგიონალლიგა III ტური**

ბრაუნშვაიგი 5:2 ჰამბურგი (მ)

**სამხრეთ რეგიონალლიგა III ტური**

ელვერსბერგი 2:1 პფულენდორფი
ფიურტი 0:3 აალენი
ოფენბახი 1:1 მაინცი (მ)

## ინგლისი

**II დივიზიონი. II ტური**

კოლჩესტერი 0:1 სუინდონი

## ჰოლანდია

**პირველი დივიზიონი I ტური**

როდა 2:2 პსვ ეინდჰოვენი

**მეორე დივიზიონი I. ტური**

აპელდორნი 1:2 ოსი
ემენი 0:0 ექსელსიორი
დორდრეხტი 1:1 ეინდჰოვენი
სიტარდი 2:2 ვეენდამი
ჰელმონდი 2:0 კამბური
ტელსტარი 3:1 მაასტრიხტი
ვენლო 1:1 ჰერაკლესი

## ირლანდია

**პრემიერლიგა გადადებული მატჩი**

კორკ სიტი 1:0 შემროკ როვერსი

## საფრანგეთი

**II დივიზიონი. III ტური**

სენტ ეტიენი 2:1 ლორიანი

## პორტუგალია

**სუპერლიგა. I ტური**

ბელენენსეში — ამადორა გადაიდო

## ნორვეგია

**ტიპელიგა. XVII ტური**

ბოდიო გლიმტი 3:1 სტაბეკი

## თურქეთი

**სუპერლიგა. II ტური**

ტრაბზონი 0:1 ფენერბაჰჩე

## პოლონეთი

**I ლიგა. II ტური**

ამიცა 1:0 ლეხი

# ნაცნობი კაცი, ნაცნობ გარემოში

## ამერმა გიორგი ღუდუშაური დაიმატა




*გუშინ, გერმანიაში საერთაშორისო ტურნირზე გამგზავრების წინა დღეს, პირველლიგელმა „ამერმა" კიდევ ერთ ფეხბურთელთან, საქართველოს ნაკრების ყოფილ წევრ გიორგი ღუდუშაურთან გააფორმა კონტრაქტი.*

*ღუდუშაურმა, რომელსაც ეროვნულ გუნდში რვა მატჩი აქვს ჩატარებული, კარიერა „მართვეში" დაიწყო, „კრწანისში", „კახეთში" და რუსთავის „მეტალურგშიც" თამაშობდა. ამის მერე უცხოეთში წავიდა და ჯერ გერმანული რეგიონალლიგის „ზალმრორში" იყო, იქიდან კი, მოსკოვის „ტორპედოს" მიაშურა, ხოლო საქართველოში დაბრუნებული თბილისის „ლოკომოტივში" მივიდა, საიდანაც ისევ გერმანიაში წავიდა და სამოყვარულო ლიგაში თამაშობდა.*

*გიორგის კონტრაქტის გაფორმების მერე გავესაუბრეთ.*

— „ამერში" როგორ მოხვდი?

— რამდენიმე თვის უთამაშებელი ვიყავი და მოედანზე დაბრუნება მინდოდა. „ამერმა" ნორმალური პირობები შემომთავაზა და რაც მთავარია, ამბიციური გუნდია, რომელსაც კარგი მწვრთნელი და ფეხბურთელები ჰყავს, მათ დიდი ხანია ვიცნობ. ამიტომაც დიდხანს არ მიყოყმანია.

— ესე იგი, ნაცნობი გარემოა...

— დიახ, ასეა. გიორგი ჩიხრაძესთან, ძმებ კილასონიებთან და გიორგი დავითნიძესთან ერთად მითამაშია.

— მწვრთნელზე რას იტყვი?

— გაიოზ დარსაძესთან მუშაობა ნებისმიერი ფეხბურთელისთვის სასარგებლოა. გუნდთან ერთად უკვე რამდენიმე დღეა ვვარჯიშობ და ძალიან კმაყოფილი ვარ. საინტერესო და მრავალფეროვან ვარჯიშებს ატარებს.

**— რამდენიმე თვეა არ გითამაშია და როგორ ფორმაში ხარ?**

— საუკეთესო ფორმაში არ ვარ, თუმცა ყველაფერი თავიდან უნდა დავიწყოო, ვერც ამას ვიტყვი. ფორმას ძალიან მალე აღვიდგენ.

ბოლოს დავძინოთ, რომ გიორგი ღუდუშაური გიორგი ჩიხრაძის, დავით ასლანაძის, გიორგი კილასონიას და გიორგი დავითნიძის მერე „ამერის" მეხუთე ფეხბურთელია, რომელსაც საქართველოს ნაკრებში უთამაშია. მათ გარდა კლუბმა ბოლო თვეებში დიმიტრი ვერემჩუკი, მამუკა რუსია და ამირან კედელაშვილი დაიმატა.

**ძოტე ძეძელია**

# ლაზიკა სიღარიბემ ისე ჩაადნო, როგორც დომმა სულგუნი

**ზუგდიდში** ფეხადგმულმა, მრავალ განსაცდელ გამოვლილმა „ლაზიკამ", ჩანს, მთლად დალია სული.

ერთი თვის წინ უფულობის გამო ზუგდიდურმა გუნდმა თავისი კუთვნილი, წვალებ-წვალებით მოპოვებული ადგილი უმაღლეს ლიგაში თბილისის „სპარტაკს" დაუთმო, ნებსით პირველ ლიგაში ჩაინაცვლა და... ახლა იქ ველარ ახერხებს თამაშს. „ლაზიკამ" პროფესიულ საფეხბურთო ლიგას თავის ფინანსურ სიდუხჭირეზე აცნობა, არც პირველ ლიგაში მონაწილეობის საშუალება გვაქვსო. პროფესიულმა ლიგამ კი იმსჯელა „ლაზიკას" განცხადებაზე და მისი ადგილი, ჩემპიონატის რეგლამენტის გათვალისწინებით, ფინანსურად მოღონიერებულ ბათუმურ „ლუკას" უბოძა, რომელიც შარშან რეგიონულ ლიგაში თამაშობდა. პროფლიგის ხელმძღვანელები ჯერ დარწმუნდნენ „ლუკას" შესაძლებლობებში, საბოლოო გადაწყვეტილება კი ამის შემდეგ მიიღეს.

ამ ზაფხულს პირველ ლიგაში გუნდების ცვლილების ეს უკვე მეორე შემთხვევაა. „ლაზიკა"-„ლუკამდე" „ნორჩი დინამოელის" ადგილი, რომელსაც ასევე ფინანსური პრობლემები ჰქონდა, თბილისის „ამერმა" დაიკავა.

და ერთი პირველლიგური ამბავიც — თბილისის „ლოკომოტივი 2" „სამტრედიას" შეუერთდა და ახლა ამ გაერთიანებული გუნდის სახელწოდება „ლოკომოტივი 2 სამტრედია" იქნება.

**ლუკა თალაკვაძე**

# ტორპედოს მოგება კოლხური მაღამოსავით სჭირდება

**მორიგი** ევროიმედი გაგვიცრუვდა. „სიონი“ და „ტორპედო“ მეტოქეებთან ისეთი ანგარიშით დამარცხდნენ უეფას თასზე, ამათ საპასუხო მატჩებს ფორმალური უფრო ეთქმის.

მგზავრობით დაქანცულ ქუთაისელებს და ბოლნისელებს პროფლიგელებმა შეღავათი გაუწიეს და მეოთხე ტურის საკვირაო თამაშები ორშაბათისთვის გადაუდეს. „პუხოვთან“ მატჩის ჩათვლით „სიონი“ ზედიზედ მესამედ ითამაშებს სტუმრად, თუმც ამჯერად მოკრძალებული მეტოქე ეყოლება. „სპარტაკმა“ წინა ტურში ქუთაისიდან ქულა კი წამოიღო, მაგრამ სლოვაკეთიდან ბოლმაგამოყოლილ „სიონთან“ იქნებ ფრეც კი ძალიან გაუჭირდეს.

„ტორპედო“ — „კოლხეთს“ კი საკმაო ინტრიგა ახლავს. აქეთ ლანსში გატეხილი და პრობლემებმოძალებული მასპინძლები და იქით მოულოდნელად გალიდერებული და ჯერაც დაუმარცხებელი ჯუნგლი ტყებუჩავას გუნდი. სასეირო და ამავ დროს მძიმე მატჩი იქნება. თქმა რად უნდა, წარუმატებლობის შემთხვევაში ქუთაისელები ცერად გახედავენ მწვრთნელ სოსო ფრუიძეს. „ტორპედომ“ თუ ორშაბათსაც ვერ მოიგო, გუნდის ერთგული ფანები ძნელად დასაკავებელი იქნებიან ტრიბუნებზე. „კოლხეთი“ კი იმის კეთებას შეეცდება, რაც ბოლო დროს კარგად გამოსდის — პრესინგი და მოკლე პასებით სწრაფი კონტრშეტევა.

ტური დღეს იწყება. მეტ-ნაკლებად საინტერესო მატჩი ბათუმშია. ჯერაც ქულააულებელი მასპინძლები გონზე მოსულ „ლოკომოტივს“ დაუხვდებიან, რკინიგზელებს შვეიცარიიდან დაბრუნებული ლევან ხომერიკი ვერ შეეშველება ტრავმის გამო, თუმც რევაზ არველაძის გუნდი მაინც რჩება ამ მატჩის ფავორიტად.

მადამოცემული „დილა“ „მერცხალის“ შეჭმას შეეცდება და მოახერხებს კიდეც, თუკი ზურაბ ხორგუაშვილის ბიჭები საქმეს ზერელედ არ მოეკიდნენ.

„მცხეთას“ შინაურ სარბიელზე „ლოკომოტივი“ ჰყავს წაქცეული და თუკი დღეს იგივე „თბილისსაც“ დამართა, ისლა დაგვრჩენია, სახლის გუნდად ვაღიაროთ დებიუტანტები, თუმც ვლადიმერ პანოვს და მის ამქარს ტექნიკურ „თბილისთან“ მოგება ერთობ გაუჭირდება. ოზურგეთში სადებიუტო მარცხის შემდეგ თემურ ლორთქიფანიძის გუნდმა მკვეთრად გააუმჯობესა თამაში და რაღა გასაკვირია, რომ დედაქალაქელებს დღეს სამი ქულა აქვთ დაგეგმილი.

ტურის ცენტრალური მატჩი კვირასაა. „დინამო“ — „ვიტ ჯორჯია“ ბოლო წლების ქართულ ფეხბურთში სკანდალთან, დაძაბულობასთან, ინტრიგასთან და სენსაციასთან ასოცირდება.

„დინამოს“ ბანაკიდან ხმაური ისმის. გუნდიც აჭრილია, შუშაკელები ბოლო ტურში ფოთში შერცხვნენ „კოლხეთთან“, „ვიტ ჯორჯიამ“ კი დიდი ძალა შეიმატა გველესიანის და დეკანოსიძის სახით და ხვალ მოსაგებადაც გაიწევს „ეროვნულზე“.

ბოლოს ისიც ვთქვათ, რომ პროფესიული საფეხბურთო ლიგის მესვეურები სეზონის ბოლოს საუკეთესო მსაჯებს გამოავლენენ და ლაურეატებს სოლიდური თანხით დააჯილდოვებენ. შეფასება ამ ტურიდან იწყება — ესეც მსაჯთა მოტივაცია.

**ბაატა ძმანტალიანი**

საქართველოს ფეხბურთის პირველი ჩემპიონატი ლიგა ეტაპი 15

**4 ტური** **ანონსი**

ზორი. 16 აგვისტო. 18 საათი. თინაიზ ბურჯანაძე

**დილა — მერცხალი**

მსაჯები: მ. მაისურაძე (თბილისი); ლ. კვარაცხელია (ზუგდიდი), ზ. ხუციშვილი (დმანისი); ა. მეშკოვი (თბილისი); სფფ-ის ინსპექტორი: გ. ბარქაია; დირექტორი: გ. კეტაშვილი

ბათუმი. 16 აგვისტო. 18 საათი. ცენტრალური

**ბათუმი — ლოკომოტივი**

მსაჯები: ა. შალამბერიძე; კ. გაბრიაძე, ნ. რუსიშვილი; პ. დოგრაშვილი (ყველა ქუთაისი); სფფ-ის ინსპექტორი: ა. დურსუნიშვ; დირექტორი: რ. შოთაძე

მცხეთა. 16 აგვისტო. 18 საათი. არმაზი

**მცხეთა — თბილისი**

მსაჯები: ა. ორდინაძე (ონი); გ. ცირდავა (გულრიფში), ა. ნონიკაშვილი; ი. კახიანი (ორივე თბილისი); სფფ-ის ინსპექტორი: ე. სილაგავა; დირექტორი: დ. გოგოია

თბილისი. 17 აგვისტო. 18 საათი. ეროვნული

**დინამო — ვიტ ჯორჯია**

მსაჯები: ა. მეშკოვი; ზ. მენთეშაშვილი, ზ. ჯგარიძე (სამივე თბილისი); დ. ხანაია (სოხუმი); სფფ-ის ინსპექტორი: ა. მილჩენკო; დირექტორი: შ. ხინჩაგაშვილი

თბილისი. 18 აგვისტო. 18 საათი. ლოკომოტივი

**სპარტაკი — სიონი**

მსაჯები: ზ. ანიაშვილი (გორი); ი. აფციაური (დუშეთი), კ. თბილელი; მ. მაისურაძე (ორივე თბილისი); სფფ-ის ინსპექტორი: მ. ქელიძე; დირექტორი: ს. კოტრიკაძე

ქუთაისი. 18 აგვისტო. 18 საათი. ტორპედო

**ტორპედო — კოლხეთი**

მსაჯები: კ. მესხი (ზუგდიდი); ა. სამხარაძე (სოხუმი), გ. ცირდავა (გულრიფში); ლ. კვარაცხელია (ზუგდიდი); სფფ-ის ინსპექტორი: ო. გუნთაძე; დირექტორი: გ. ცაავა



# თქვენ გინდათ დინამოსთან სექსი?!

## შუშაკი დინამოს ხელს აფარებს

*„დინამო“ ლამაზი გოგოა, ყველა კაცს სურს, მას დაეუფლოს. ხვალინდელ „დინამო“ – „ვიტ ჯორჯიას“ წინ ასე ამბობს ჩემპიონთა მწვრთნელი ივო შუშაკი და უხერხულ მეტოქესთან დიდი ბრძოლისთვის ემზადება*

**დინამოელებმა** გუშინ 18 ფეხბურთელით ივარჯიშეს, როგორც ყოველთვის, მწვრთნელი ზომიერად მკაცრი და მომთხოვნი იყო, შეგირდები კი მისი დავალების უსიტყვოდ შემსრულებლები. გუნდი, ჩანს, ტირანული შოკიდან გამოვიდა, თუმც ერთი-ორჯერ ის საშინელი მატჩი მაინც ახსენეს. არ იგრძნობა ბოლო ტურში ფოთში წაგების კვალიც. „კოლხეთთან“ დამარცხებას ჩემპიონები უფრო შემთხვევითობად თვლიან, ვიდრე ლოგიკურ შედეგად. სწორედ ამის დასამტკიცებლად ხვალ „დინამო“ „ვიტ ჯორჯიას“ გაორმაგებული ენერგიით დაუპირისპირდება. გუნდის ექიმ დიმიტრი ზაალიშვილს დღეისთვის რამდენიმე პაციენტი კი ჰყავს, მაგრამ ფეხბურთელებს მიკროტრავმები აწუხებთ და საქმე ისე არაა, მატჩი გამოტოვონ. რაღა თქმა უნდა, ამას ვერ ვიტყვით ანჩაბაძესა და ალექსიძეზე, რომლებმაც სულ ორი დღეა, ინდივიდუალური პროგრამით განაახლეს ვარჯიში. მათ გუშინაც ერთად იძუნძულეს, მერე კი ფიზმომზადების მწვრთნელ ავთო ბერიძის მითითებები შეასრულეს.

„დინამოს“ მწვრთნელი ივო შუშაკი ცოტას შიშობს კიდეც, გუნდში მიმდინარე რეორგანიზაციის პროცესმა ხვალინდელი მატჩისას ბიჭებზე არ იმოქმედოს, თუმც იქვე დასძენს, რომ კლუბის ყველა წევრი ვალდებულია, ხელმძღვანელობის გადაწყვეტილებებს დაემორჩილოს და იმედოვნებს, ეს ცვლილებები ფეხბურთელებს სამატჩო კონცენტრაციას არ დააკარგვინებს.

— ჩვენი მიზანი შარშანდელს აქეთ არ შეცვლილა. ისევ ჩემპიონობა და თასის მოპოვება გვაქვს დაგეგმილი და ამისკენ მივისწრაფვით. ტრადიციულად, „ვიტ ჯორჯია“ ჩვენთვის რთული მეტოქეა. ჩვენი გუნდი სათამაშოდ მზადაა, ვიცი, რომ „ვიტ ჯორჯია“ უბრძოლველად თამაშს არ დათმობს, იოლ გასეირნებას არც ველი. „დინამომ“ ამ ჩემპიონატში ერთი ომი უკვე გადაიტანა და „ტორპედო“ დაამარცხა. ახლა მეორე ასეთი მატჩი გვაქვს. „ვიტ ჯორჯიას“ შესაძლებლობებს ყოველთვის ვაფასებდი და ამ გუნდზე საკმაოდ კარგი წარმოდგენა მაქვს. მათ „მცხეთასთან“ და „ბათუმთან“ საკმაოდ კარგად ითამაშეს, რამდენიმე ფეხბურთელი დაიმატეს და გაძლიერდნენ. თუმც მეტოქის პატივისცემის მიუხედავად, ჩემი გუნდის მჯერა და ვიმედოვნებ, გავიმარჯვებთ.

კარგი იქნებოდა, ბრაზილიელი ტესერი არ წასულიყო, მაგრამ ეს ტრანსფერი ვერ მოგვარდა, ამ ფეხბურთელის „დინამოში“ ჩასარიცხად ბოლო ვადა 15 აგვისტო იყო. კლუბის ხელმძღვანელობასთან ვისაუბრეთ. „დინამო“ რამდენიმე ფეხბურთელით მაინც გაძლიერდება, მაგრამ ჩემპიონატის რეგლამენტის გათვალისწინებით, ეს ზამთრამდე არ მოხერხდება. პირველი ეტაპის დასრულების შემდეგ ფეხბურთელებს აუცილებლად შევიმატებთ, მახარებს, რომ ალექსიძემ და ანჩაბაძემ ვარჯიში განაახლეს, ისინი მალე შემოგვიერთდებიან და ძალას შეგვმატებენ — თქვა „დინამო“ — „ვიტ ჯორჯიას“ მატჩის წინ ივო შუშაკმა.

**კობა ინასარიძე**



კარლოსს თვისტომი ტესერი გაეცალა



რატი ალექსიძე და გიორგი ანჩაბაძე ჯერ მხოლოდ ძუნძულებენ

ბუნდესლიგაში წლეულს დაბრუნებულმა „ფრაიბურგმა“ სეზონი წარუმატებლად დაიწყო. დიდი ანგარიშით მარცხი „ლევერკუზენთან“ პირველ ტურში. შემდეგ შინაური ფრე „ჰანზასთან“. ერთი ქულა ქართველთა გუნდისთვის ვერაა მოსაწონი შედეგი. „ფრაიბურგს“ დღეს ერთი მძიმე მატჩიც ელის მასსავით ერთქულიან „ჰერტასთან“ და ძალიან სათუოა, სტუმრებს ბერლინში რამე გამოუვიდეთ. თუმც სხვანაირად ფიქრობს „ფრაიბურგის“ თავდამსხმელი ალექსანდრე იაშვილი, რომელიც პირველ მატჩებში პარტნიორთაგან ერთ-ერთი გამოსარჩევი ყოფილა.

ალექსანდრე იაშვილს ფრაიბურგში გუშინ დავუკავშირდით და გუნდის ამბები გამოვკითხეთ

# ბერლინის აღება ძალიან ძნელია

## იაშვილი ფრეზეც ყაბულსაა

— „ჰერტასთან“ მატჩისთვის საგულდაგულოდ ვემზადებით. გუნდში ისეთი განწყობაა, რომ ბერლინიდან ხელმოცარულნი არ უნდა დავბრუნდეთ. ფრე თუ იყო, კმაყოფილნი დავრჩებით. „ფრაიბურგს“ აქვს ბერლინში წარმატების შანსი, მაგრამ ისიცაა, რომ „ჰერტაც“ ჩვენს დღეშია და გაშმაგებული გველის.

**— პირველ ტურში ლევერკუზენში დამარცხდით, მერე „ჰანზას“ ვერ მოუგეთ. მოკლედ, შედეგიანი სტარტი ვერ გამოგივიდათ. როგორაა „ფრაიბურგში“ საქმეები, წარუმატებლობის მიზეზებზე რას ამბობენ?**

— განსაკუთრებული არაფერი ხდება. ჯერ სულ ორი ტურია ნათამაშები და ნელ-ნელა მოვლონიერდებით. ჩვენსავით თითო ქულა აქვთ „ჰერტას“, „ჰამბურგს“, ჯერ „შალკესაც“ არ მოუგია. ლევერკუზენში წაგებისთვის საყვედური არავის უთქვამს, ჩვენზე ძლიერი გუნდები დამარცხდებიან იქ და არც „ფრაიბურგის“ დიდი ანგარიშით წაგება ყოფილა მოულოდნელი. გული უფრო „ჰანზასთან“ შინაურ მატჩზე გვწყდება. „ფრაიბურგს“ ნამდვილად აქვს იმის ძალა, „ჰანზასა“ და მისი დონის გუნდებს გადაურჩინოს. სამწუხაროდ, ახლა ეს ვერ შევძელით. ვფიქრობ, ჩვენ ჯერ კიდევ არ ვართ სათანადოდ შეთამაშებულები. ახალი ფეხბურთელები გვყავს და გუნდთან მათ შეგუებას ცოტა ხანი კიდევ სჭირდება.

**— ჩანს, კობიაშვილის წასვლა „ფრაიბურგს“ ძალიან დაეტყო...**

— რა თქმა უნდა. მისი სრულფასოვანი შემცვლელი მწვრთნელს ჯერ ვერ გამოუნახავს. უკობიაშვილობა ნამდვილად გვეტყობა.

**— ორი ტურის მერე, როგორ ატყობ, გაგიჭირდებათ ბუნდესლიგაში ადგილის შენარჩუნება?**

— არ უნდა გავვარდეთ. „ფრაიბურგს“ აქვს ბუნდესლიგაში თამაშის ძალა და ჩვენს პოტენციას მალე გამოვავლენთ. კობიაშვილსა და კელს თუ არ ჩავთვლით, გუნდს, ფაქტობრივად, ის შემადგენლობა შეუნარჩუნდა, რომელიც მაშინ ჰყავდა, როცა ბუნდესლიგაში მეექვსე ადგილზე გავიდა...

**— კი მაგრამ, კობიაშვილი და კელი გუნდის ლიდერები იყვნენ...**

— კობიაშვილზე უკვე ვთქვი, მისი შემცვლელი ფინკემ ჯერ ვერ ნახა, კელის პოზიციაზე კი ახლა ბაირამოვიჩი გვყავს. ჩემი აზრით, ის კელიზე ძლიერი ფეხბურთელია.

**— ქართველები კარგ ფორმაში ხართ?**

— მეც და ცქიტიშვილიც კარგად ვართ მომზადებულნი, არაფერს ვუჩივით. როცა გუნდი ათამაშდება, ჩვენც უფრო გამოვჩნდებით.

**— ბუნდესლიგის ფავორიტად ვინ მიგაჩნია?**

— „ბაიერნი“. მიუნხენელებმა თვითონ თუ არ ისურვეს ჩემპიონობის დაკარგვა, მათ წლეულსაც ვერავინ შეეცილება.

**ქობა ინასარიძე**




# გერმანია

თავართქილაძე

# როი მაკაის ტური

## შენ მთელი გერმანია გიყურებს, არ გეშინია?



| III ტური | | |
|---|---|---|
| **დღეს** | | |
| ლაუტერნი | — | ვერდერი |
| გლადბახი | — | შტუტგარტი |
| ჰერტა | — | ფრაიბურგი |
| ჰანზა | — | აინტრახტი |
| ლევერკუზენი | — | ჰანოვერი |
| ბაიერნი | — | ბოხუმი |
| დორტმუნდი | — | მიუნხენი |
| **ხვალ** | | |
| ვოლფსბურგი | — | ჰამბურგი |
| შალკე | — | კიოლნი |

**სატურნირო ვითარება**

| | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | ლევერკუზენი | 2 | 2 | 0 | 0 | 6:2 | 6 |
| 2 | დორტმუნდი | 2 | 1 | 1 | 0 | 6:2 | 4 |
| 3 | ჰანოვერი | 2 | 1 | 1 | 0 | 6:3 | 4 |
| 4 | ვერდერი | 2 | 1 | 1 | 0 | 4:1 | 4 |
| 5 | ბაიერნი | 2 | 1 | 1 | 0 | 6:4 | 4 |
| 6 | შტუტგარტი | 2 | 1 | 1 | 0 | 2:0 | 4 |
| 7 | მიუნხენი | 2 | 1 | 1 | 0 | 2:1 | 4 |
| 8 | გლადბახი | 2 | 1 | 1 | 0 | 2:1 | 4 |
| 9 | ლაუტერნი | 2 | 1 | 0 | 1 | 2:2 | 3 |
| 10 | ვოლფსბურგი | 2 | 1 | 0 | 1 | 3:6 | 3 |
| 11 | შალკე | 2 | 0 | 2 | 0 | 3:3 | 2 |
| 12 | ბოხუმი | 2 | 0 | 1 | 1 | 3:4 | 1 |
| 13 | ჰანზა | 2 | 0 | 1 | 1 | 2:4 | 1 |
| 14 | ფრაიბურგი | 2 | 0 | 1 | 1 | 3:6 | 1 |
| 15 | ჰამბურგი | 2 | 0 | 1 | 1 | 1:4 | 1 |
| 16 | ჰერტა | 2 | 0 | 1 | 1 | 0:3 | 1 |
| 17 | კიოლნი | 2 | 0 | 0 | 2 | 1:3 | 0 |
| 18 | აინტრახტი | 2 | 0 | 0 | 2 | 2:5 | 0 |

**ცენტრალური მატჩი** მესამე ტურს არა აქვს, მაგრამ მთავარი ამბავი მიუნხენის „ოლიმპიაშტადიონზეა“ — იქ დღეს ესპანეთის პრიმერადივიზიონის ბომბარდირის დებიუტს ელიან.

ბავარიელებმა როგორც იქნა მოახერხეს და ნანატრი ჰოლანდიელი ფორვარდი როი მაკაი ხელში ჩაიგდეს. „ბაიერნს“ ეს გარიგება „დეპორტივოსთან“ 18,75 მილიონი ევრო, ანუ 21,15 მილიონი დოლარი დაუჯდა — „ბაიერნის“ ისტორიაში ყველაზე ძვირადღირებული ტრანსფერი.

თუ რა კაცია მაკაი და რა დამართა მან „ბაიერნს“ შარშანდელ ჩემპიონთა ლიგაში, ყველამ კარგად იცის. ჰოლანდიელს მიუნხენელებმა ათნომრიანი მაისურა უბოძეს. როი ბავარიელთა მეხუთე ფორვარდია, საამსეზონოდ რომ ჰყავთ შეგულებული — ჯოვანი ელბერი, როკე სანტა კრუზი, კლაუდიო პიზარო და ალექსანდერ ციკლერი.

სამი დღის წინ მაკაიმ თავისი პირველი მატჩი ითამაშა „ბაიერნში“ — ოტმარ ჰიცფელდის გუნდი ამხანაგურად გაეჯიბრა „ნიურნბერგს“ და 2:0 მოუგო. მაკაის გოლი არ გაუტანია, თუმც, როგორც „ბაიერნის“ ვებ-გვერდი იუწყება, ჰოლანდიელმა დიდებულად ვერა, მაგრამ კარგად კი ითამაშა.

დღეს კი მაკაი პირველად გაეთამაშება ბუნდესლიგას — „ბოხუმის“ კარის დასალაშქრად გაიწევს.

ბაიერნელები მოისაკლისებენ მიხაელ ბალაკს, რომელსაც წვივის კუნთი აწუხებს და ვერც ოთხშაბათს ითამაშებს შტუტგარტში, სადაც გერმანიის ეროვნულ ნაკრებს ამხანაგური შეხვედრა ელის იტალიასთან.

ძალიან ძნელი გასვლა აქვს „ფრაიბურგს“ ბერლინში. თუმც ფოლკერ ფინკეს გუნდს პატარა იმედს ისიც აძლევს, რომ „ჰერტას“ ორი წამყვანი მოთამაშე არ ეყოლება — ბრაზილიელი შუახაზელი მარსელინიო დაშავებულია, ხოლო პოლონელი შემტევი არტურ ვიშნიარეკი დისკვალიფიცირებული.

ვნახოთ, ვინ ვის ჩააპირქვავებს ლევერკუზენში. „ჰანოვერმა“ წინა ტურში კინაღამ „ბაიერნს“ მოუგო (3:3) და ახლა ლიდერ „ბაიერის“ დათრგუნვასაც შეეცდება. ინტრიგას აძლიერებს ის ფაქტი, რომ წინა სეზონის დასრულების შემდეგ „ლევერკუზენიდან“ გაუშვეს ჩეხი ნახევარმცველი იან შიმაკი, რომელიც ახლა ჰანოვერელია და „ლევერკუზენამდეც“ „ჰანოვერში“ თამაშობდა.

ურიგო ბურთაობა არც დორტმუნდში უნდა იყოს. მათიას ზამერის გუნდს რამდენიმე ტრავმირებული ფეხბურთელი კი აკლია, მაგრამ ვესტფალიელებმა ეს ბუნდესლიგაც კარგად დაიწყეს. მათი მეტოქე გუნდის, „1860“-ის მწვრთნელი ფალკო გიოტცი კი ოპტიმალური შემადგენლობის ძიებაშია და ვინძლო „დორტმუნდშიც“ ექსპერიმენტული თერთმეტეულით წარდგეს.

ტრავმიან ფეხბურთელებზე წუწუნებს გლადბახური „ბორუსიაც“, ხოლო მისი დღევანდელი მოწინააღმდეგე, „შტუტგარტი“ ამ მხრივ არაფერს უჩივის.

მიკროტრავმები მისძალებია ლაუტერნელ მიროსლავ კლოზეს, მაგრამ „ვერდერის“ წინააღმდეგ მაინც ითამაშებს. ნავსი აქვთ გასატეხი ბრემენელებს — „მუსიკოსებმა“ ბოლო ხუთივე მატჩი წააგეს კაიზერსლაუტერნში.

„ვოლფსბურგ“ — „ჰამბურგის“ შეხლა იმითაცაა საინტერესო, რომ ორი არგენტინელი წარდგება პირისპირ — აქეთ ვოლფსბურგელთა ახალწვეული ანდრეს დალესანდრო, იქით კი ჰამურგელი ბერნარდო რომეო.

ორი ტური ვერ მოუგია ლევან კობიაშვილის „შალკეს“ და ამას მესამე ცდაზე აპირებს — მიუხედავად იმისა, რომ „ხუმარებს“ დისკვალიფიცირებული ჰყავთ ჯერალდ ასამოა.



ტრავმის მიუხედავად მიროსლავ კლოზე მაინც ითამაშებს

# რეალს გულზე კლოდი აწევს

*მადრიდის „რეალი" მუქარაზე გადავიდა: „სამეფო კლუბის" დირექტორმა ხორხე ვალდანომ განაცხადა, რომ თუ 30 წლის ნახევარმცველი კლოდ მაკელელე ხელფასის გაზრდაზე ჯიუტ ლაპარაკს და გაფიცვას თავს არ დაანებებს, კლუბი ყველა ღონეს იხმარს, რათა ფრანგი დაისაჯოს, თან საერთაშორისო წესების მიხედვით. საქმე კი ის გახლავთ, რომ ვარსკვლავებით გადავსებული „რეალის" ყველაზე მცირეხელფასიანმა, მაგრამ ყველაზე უმადური, შავი და ურეკლამო საქმის მკეთებელმა მოთამაშემ, ოთხშაბათიდან გაფიცვა გამოაცხადა და ვარჯიშებზე აღარ დადის*



„მაკელელეს კონტრაქტი აქვს დადებული, ხოლო ჩვენ ფეხბურთელებისგან კონტრაქტის პირობების შესრულებას ვითხოვთ. რაც მან ჩაიდინა, სხვა არაფერია, თუ არა უდისციპლინობა და თუ ასე განაგრძობს, კარიერას საფრთხეში ჩაიგდებს" — განუცხადა გაზეთ „მარკას" მადრიდელთა დირექტორმა.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ფეხბურთელის აგენტმა, მარკ როჯერმა ვალდანოს და მის კლუბს შეატყობინა, რომ მაკელელეს შეძენით ლონდონის „ჩელსის" ახალი პრეზიდენტი, რუსი ოლიგარქი რომან აბრამოვიჩია დაინტერესებული, თუმცა, ჯერჯერობით, ამ ცნობას დიდი შედეგი — ყოველ შემთხვევაში გარეგნულად — არ მოჰყოლია.

ვალდანო: „დიახ, ჩვენ გვითხრეს, რომ „ჩელსის" მაკელელეს ყიდვა სურს, მაგრამ ოფიციალური წინადადება არ მიგვიღია. ერთადერთი, რაც ლონდონიდან მივიღეთ, გახლდათ წერილი, რომელშიც მოლაპარაკებებს გვთავაზობდნენ. მიუხედავად ამისა, ჩვენ ორშაბათიდან მართლაც ვაპირებდით „ჩელსის" წარმომადგენლებთან მოლაპარაკებას, მაგრამ რომ შევიტყვეთ, ფეხბურთელი გაფიცვას აწყობდა, ჩვენი დამოკიდებულება შეიცვალა. ახლა ჩვენ მას დავსჯით, რადგან „რეალს" აქვს თავისი პოზიცია, რომლიდანაც არ გადაუხვევს. ცხადია, აქ სასიამოვნო არაფერია, მაგრამ სხვა გზაც არ არის".

ესპანური პრესა-ტელევიზიის ცნობით, „რეალის" ჩინოვნიკებმა პრობლემის შესახებ ფიფასაც აცნობეს და მოსთხოვეს, მაკელელესთვის ამ დღეებში საფრანგეთის ნაკრების შემადგენლობაში შვეიცარიის წინააღმდეგ თამაში აეკრძალათ.

„დღეს მაკელელე ისედაც ცუდ დღეშია და ყოველივეს გამო ფრიად აღგზნებული და დაზაფრული გახლავთ. ერთი სიტყვით, იგი არ ვარჯიშობს" — აცხადებს თავის მხრივ აგენტი როჯერი.

ახლა კი პრობლემას სხვაგვარად შევხედოთ: რაც პერესი „რეალის" პრეზიდენტია, საუკეთესო ფეხბურთელთა ყიდვის საგანგებო უნარსა და ძალ-ღონეს ამჟღავნებს. მადრიდელები მსოფლიოს უდიდეს ვარსკვლავებს ჯერ კიდევ სხვა გუნდებში „უსაფრთდებოდნენ" და როგორც კი ისინი თავიანთი კლუბებისადმი უკმაყოფილებას გამოამჟღავნებდნენ, დროული და გონივრული მოქმედებით მათ თავიანთკენ ექაჩებოდნენ. გავიხსენოთ: ზინედინ ზიდანმა „იუვენტუსს" უთხრა, რომ ესპანეთში სურდა გადასვლა და წინააღმდეგობის მიუხედავად საბოლოოდ ისე მოხდა, რომ ტურინელები იძულებულნი შეიქნენ დამსხდარიყვნენ და პრობლემა ფრანგის მადრიდში გაშვებით დაესრულებინათ. რონალდოს ამბავი კი, ზიდანის ამბისგან განსხვავებით, ნამდვილი კონფლიქტი და შოუ გახლდათ. „ინტერს" ბრაზილიელთან თავისი წილი პრეტენზიები ჰქონდა და, ვფიქრობთ, არცთუ სამართლიანი — ბოლოს და ბოლოს, კლუბმა რონალდოს ცხოვრების უმძიმესი წლები გადაატანინა, როგორც მატერიალურად, ასევე მორალურად — მაგრამ დიდი და ხმაურიანი დავა-კამათის მიუხედავად საბოლოოდ ყველაფერი „რეალის" და რონალდოს სასარგებლოდ დასრულდა. და ბოლოს, დევიდ ბექჰემის ახლანდელი ამბავი! ხომ გახსოვთ, ისიც როდის დაიწყო? როდესაც ბექჰემი ჯერ კიდევ „მანჩესტერ იუნაიტედში" თამაშობდა და, სხვათა შორის, ჩემპიონთა ლიგაში სწორედ „რეალს" ხვდებოდა.

ახლა კი, მაკელელესთან დაკავშირებით ყველაფერი შებრუნებით გამოდის — მაკელელე „რეალშია", უკმაყოფილოა, გაფიცვასაც კი იწყებს, გარედან კი, როგორც ზემოთ ჩამოთვლილ შემთხვევებში თავად „რეალი", „ჩელსი" მისდგომია თავისი რუსეთში ნაშოვნი მილიონებით, მომყიდეო. და მაინც, რამ გადარია ეს ფერადკანიანი ფრანგი? რატომ ითხოვს ხელფასის გაზრდას, არ იცის, რომ რონალდოს, ზიდანს, ფიგუს და თვით ისეთ კომერციულ ფიგურას ედრება, როგორიც დევიდ ბექჰემი გახლავთ?

მოდით, ამაზეც დავფიქრდეთ: ერთი მხრივ, მართალია, რომ კლოდ მაკელელეს ნიჭი ჩამოთვლილი დიდი ვარსკვლავების ნიჭთან ვერ მოვა, მაგრამ მეორე მხრივ, ისიც ფაქტია, რომ თუ ვინმე „რეალში" სამუშაოს ასრულებს და ვარსკვლავებს თავიანთი ბრწყინვალების გამოსაჩენად პირობებს უქმნის, სწორედ კლოდ მაკელელეა. აბა, გაიხსენეთ 2002 წლის ჩემპიონთა ლიგის ფინალი. დიახ, უმალ ყველას ზიდანის ვირტუოზული დარტყმა დაგვიდგება თვალწინ, მაგრამ მეტოქეს, „ლევერკუზენს", შეტევათა მთელი კასკადის განხორციელებაში სწორედ ფრანგმა ნახევარმცველმა რომ შეუშალა ხელი?... ანდა, რა მოხდა ამ გაზაფხულზე? „რეალი" დიდებულად მიიწევდა ჩემპიონთა თასისკენ, განა ბრწყინვალე ფეხბურთით არ ჩამოიტოვა „მანჩესტერ იუნაიტედი", მერე, ნახევარფინალის პირველ შეხვედრაში „იუვენტუსსაც" აჯობა, მაგრამ დადგა საპასუხო მატჩის დღე და მაკელელემ ტრავმის გამო ვერ ითამაშა. შედეგიც ყველას გახსომებათ — 1:3.

რა უნდა მოხდეს ახლა? ფრანგ პატრიკ ვიეირაზე ამბობდნენ რაღაცას, მაგრამ მან ლონდონის „არსენალთან" სწორედ ამ დღეებში მოაწერა ახალ კონტრაქტს ხელი. საეჭვოა, „იუვესგან" ედგარ დავიდსის შეძენა გამოვიდეს. ვალენსიელ რუბენ ბარახაზეც ითქვა, მაგრამ...

მაკელელე კი გაიფიცა!

**ბაბუნა ძიძია**

---

გიო ახვლედიანის

## სვეტი

## მაკელელეს ფასი

კლოდ მაკელელე აჯანყდა — შეუმჩნეველი შავი კაცი მადრიდის „რეალში", რომელსაც თუ შეამჩნევ, იტყვი, რომ მის ხერხემალს გუნდი ეყრდნობა და ეს ფრანგი საუცხოო საყრდენი ნახევარმცველია. ის შლის და იწყებს და ეს საქმე კარგად გამოსდის, თუმცა, ტაშში, რომელსაც „რეალი" იღებს ხოლმე, კლოდს იშვიათად გაიხსენებენ, ვინაიდან მისი პროფესია პრიმადონების უკან ყოფნა, მათთვის სუნთქვის მიცემა, მათი შეცდომების გამოსწორება და მათივე შეტევის წამოწყებაა.

ჩვენ ვიცით, რომ მუშა ბიჭები, თუნდაც ნამდვილი, მაგარი მუშა ბიჭები ტაშისთვის არ არიან, ისინი იმ საქმისთვის არიან, რომელსაც პრიმადონები ვერასოდეს გააკეთებენ. მუშა ბიჭები ვერასოდეს აკეთებენ იმას, რასაც პრიმადონები, მაგრამ მათ შორის სხვაობა ისაა, რომ პრიმადონათა ნაკეთებს ორი წლის ბავშვიც ამჩნევს და აქებს, მუშა ბიჭს კი იშვიათად თუ ჩაუკვირდება ვინმე.

კლოდ მაკელელეს არ უნდა, რომ პრიმადონებზე ხუთჯერ და შვიდჯერ ნაკლები ხელფასი ჰქონდეს.

მადრიდის „რეალი" კი სწორედ მუშა ბიჭებზე ზოგავს, რადგან მუშა ბიჭები ვერ ზრდიან კლუბის შემოსავალს, შვიდშვიდ ციფრს ვერ უმატებენ და მაისურებსაც იშვიათად ყიდულობს ვინმე.

მაგრამ მაკელელეს ის კი არ უნდა, რომ ზიდანის ტოლი ხელფასი ჰქონდეს, ან ბექჰემის ოდენი სარეკლამო შემოსავალი, უბრალოდ, მას მიაჩნია, რომ მისი ჯამაგირი, პრიმადონათა შემოსავლის ფონზე სტუდენტის სტიპენდიას არ ჰგავდეს.

მაკელელე მართალია, მაგრამ რას იზამს ხორხე ვალდანო?

მიჩნეულია, რომ ყველას იმდენს უხდიან, რამდენიც ულირთ. თუმცა, მგონი, ისეა, რომ ყველას იმდენს უხდიან, რამდენზეც შეუთანხმდებიან. „ჩიკაგო ბულზის" ვარსკვლავ სკოტი პიპენს, რომელიც ჯორდანის მხარდამხარ სასწაულებს სჩადიოდა, ენბიეის პირობაზე სასაცილო ხელფასი ჰქონდა და პაერ-მაიკლზე ბარე ოცჯერ ნაკლებ გასამჯელოს უხდიდნენ. რა არ იწვალა, მაგრამ არ შეისმინეს. საერთოდ, არ შეისმენენ ხოლმე, ურჩევნიათ, გაყიდონ, ვიდრე მეტი გადაუხადონ.

კლოდ მაკელელე არ ვარჯიშობს, სანამ ხელფასს არ მოუმატებენ. „ჩელსიმ" ცხრა მილიონი გირვანქა არ გადაიხადა მის გადასაყვანად, შვიდნახევარს გადაიხდიო.

რა ქნის კაცს, რომელსაც მიაჩნია, რომ არანაკლებს მუშაობს, ვიდრე პრიმადონები და მათზე სამჯერ ნაკლები ხელფასიც ეყოფოდა, მაგრამ არ აძლევენ?

---

# ერთხელ გაკოცებ, რა მოხდა...

**იტალიის ნაკრების** კაპიტანმა ფაბიო კანავარომ განაცხადა, რომ შესაძლოა, კარიერა მშობლიურ „ნაპოლიში" დაასრულოს. „მე ნეაპოლელი ვარ და სულაც არ ვმალავ, რომ იქ დაბრუნებაზე ვფიქრობ. თუმცა კარიერის ბოლომდე რამდენიმე წელიღა დამრჩა და მინდა, „ინტერთან" ერთად რაიმე სერიოზული ტიტული მოვიგო" — თქვა 29 წლის მცველმა.

კანავარო 90-იანი წლების შუახანს გამოჩნდა მსოფლიო ფეხბურთში. სერია A-ში მისი დებიუტი 1994 წელს „ნაპოლიში" შედგა. ორი სეზონის შემდეგ ნეაპოლურ კლუბს ფინანსური კრიზისის გამო მისი გაყიდვა მოუხდა და ახალგაზრდა მცველმა „პარმაში" ამოყო თავი. ამ კლუბში იტალიის თასს, სუპერთასსა და უეფას თასს გამორჩა. მიუხედავად იმისა, რომ „სკუადრა ადზურას" უცვლელ წევრად და მსოფლიოს ერთ-ერთ საუკეთესო მცველად იქცა, კარიერის უდიდესი ნაწილი მებრძოლ და საკმაოდ ძლიერ, მაგრამ მაინც პროვინციულ კლუბში გაატარა. მისით ყოველთვის არაერთი გრანდი იყო დაინტერესებული, მაგრამ ტრანსფერი ძალიან გაჭიანურდა და მხოლოდ გასულ ზაფხულს განხორციელდა. თუმც კანავარომ მაინც ვერ შეძლო სანუკვარი სკუდეტოსა და ჩემპიონთა ლიგის მოგება.

თავად კანავარომ წინა სეზონში „ინტერის" წარუმატებლობა ასე ახსნა: „შესაძლოა, სერია A-ზე ყურადღება დროზე ადრე მოვადუნეთ, თუმცა ბედმაც ზურგი გვაქცია. ზედმეტად და ნაადრევად გადავერთეთ ჩემპიონთა ლიგაზე."

კანავაროს ახალ თანაგუნდელ თომას ჰელვეგს კი აზრადაც არ მოსვლია კარიერის დასრულება. პირიქით, დანიელი სამომავლო გეგმებს აწყობს და სულაც არ ნანობს, რომ „მილანმა" მასთან თანამშრომლობა აღარ ისურვა. ჰელვეგის თქმით, მას ჩემპიონთა ლიგისა და სკუდეტოსთვის ბრძოლა „ინტერის" შემადგენლობაშიც შეუძლია. „დარწმუნებული ვარ, მომავალი სეზონი ჩვენთვის ბრწყინვალე იქნება. ამ ჩინებულ გუნდში ჩემი თავი ვიპოვე. მეგონა, რომ „ინტერი" გულგატეხილი და უმოტივაციო იქნებოდა ამდენი წარუმატებლობის შემდეგ, მაგრამ აქ სულ სხვაგვარად არის საქმე. თავს არ ვზოგავთ და ერთი მიზნისთვის ვიბრძოლეთ, გვინდა, რომელიმე დიდი ტიტული მოვიპოვოთ" — აღნიშნა დანიელმა მცველმა.

**გიორგი ქაქაბაძე**




ფაბიო კანავარო

# გოლების ცრვენა
## როტერდამს ბანანცი ეღირსა

*პირველ საკვალიფიკაციო ეტაპზე, როგორც წესი, გუნდებს შორის საგრძნობი სხვაობაა კლასში. სუსტებმა იციან, რაც მოელით. მათგან უმეტესი უცხო ქვეყანაში სამოგზაუროდ, იქაურობის დასათვალიერებლად და დასამარცხებლად განწირული მიემგზავრება. შინ მოთამაშე ჯაგლაგნი კი შეძლებისდაგვარად საპატიო ანგარიშით წაგებას ესწრაფვიან, ამიტომ ორრაუნდიან ბრძოლაში გამარჯვებულის გამოცნობა მაინცდამაინც თავმოსაფხანი საქმე არაა, თუმც მოულოდნელობის გარეშეც არ არსებობს*



„მიუპა“ — „იანგ ბოისი“. ფინელმა ტონი ჰუტუნენმა ჟოელ დესლოუს მიწა გამოაცალა

მაგალითად, ევროთასებზე ნაცვეთმა თელ ავივის „ჰაპოელმა“ ერევნის „ბანანცის“ ძლევა ვერ მოახერხა. მატჩი ნეიტრალურ მოედანზე, როტერდამში გაიმართა. მეტოქეებმა იძუნწეს და თითო გაიტანეს. შეხვედრას 350 მაყურებელი ესწრებოდა. ისინი მეტი გოლის ღირსად არ ჩათვალეს. მასპინძელმა ოსი როსენმა „ბანანცს“ პირველი ტაიმის მიწურულს გაუტანა, მაგრამ თამაშის დასრულებამდე 17 წუთით ადრე ამირიანმა გაათანაბრა. წყვილიდან გამსვლელს ერევნული მატჩი გაარკვევს.

შარშან თბილისის „დინამოსგან“ ნაგვემმა „ტალინმა“ „ოდენსეს“ თავი არ დაჩაგვრინა. დანიელთა ლეგიონერმა მვაპე მიტიმ შესვენებამდე ვიკინგები დააწინაურა, თუმცა კურიანოვმა მეორე ტაიმის დასაწყისში გაქვითა და თავისიანებს შანსი შეუნარჩუნა.

ოთხმა გუნდმა ერთნაირად, 5:0 მოიგო და საპასუხო მატჩები ფორმალობად აქცია. მოსკოვის „ტორპედომ“ სან მარინოს „დომანიანოსთვის“ მოიცალა, მაგრამ ამ შეხვედრის სანახავად 900 კაცი ძლივს მოგროვდა. პირველ ტაიმში ორი, მეორეში კი სამი გოლით დატვირთეს „ჯუჯა“ სტუმრები და მძიმე ბარგი გააყოლეს სამშობლოში.

ასევე გაუმასპინძლდა დანიური „ესბიერგი“ ანდორის „სანტა კოლომას“. დამხვდურთა ტომი ლოვენკრანდსმა რვა წუთში დუბლი რომ მიითვალა, ალავერდს ჯეს ტორუპთან გადავიდა და მანაც ორი ცალი გაიფორმა. მეხუთე ტომ ჰანსენის ანგარიშზეა, რომელსაც საგოლე მადა მატჩის დასრულებამდე შვიდი წუთით ადრე გაეხსნა.



„ცრვენა ზვეზდა“ — „ნისტრუ“. ნიკოლა ჟიგიჩმა მოლდოველთა კარი სამჯერ აახურა

მალტური „ბირკირკარა“ ჩვენთვის კარგად ნაცნობია. ალბათ გახსოვთ, თბილისის „ლოკომოტივს“ ალიყური რომ აჭამა. „ბირკირკარას“ ტაქტიკურ-სტრატეგიულმა გეგმამ პირველ ტაიმში გაამართლა, რადგან „ფერენცვაროშმა“ მხოლოდ ერთხელ გაუტანა. აი, შესვენების შემდეგ კი მასპინძლები რატომღაც მოიშალნენ და ნახევარ საათში ოთხი გოლი ყლაპეს. დენის როსამ და ალექსანდრ ზოვიტმა წყვილად გაიტანეს, ზოლტან გერამ კი მალტელებს მეხუთე გოლით გვირგვინი დაადგა.

კევინ კიგანის „მანჩესტერ სიტიმ“ ხუთჯერ დადალა მეზობელი უელსელები. ძნელად წარმოსათქმელი „ლანსანტფრეიდი“ იოლად შესახრამუნებელი ლუკმა გამოდგა. მიუხედავად იმისა, რომ შესვენებამდე „სიტიმ“ ერთი გაიტანა, მეორე ტაიმში მეტოქე არ დაინდო და კიდევ ოთხი მიაყოლა. 1970 წლის თასების თასის მფლობელ მანჩესტერულ გუნდს ევროსარბიელზე 24 წელიწადი არ ეთამაშა და დაბრუნება ლამაზი ზეიმით აღნიშნა.

ყველაზე მეტად გულშემატკივრები სლოვაკურმა „პუბლიკუმმა“ ასიამოვნა — მატჩში დუბლი სამმა ფეხბურთელმა მიითვალა: მასპინძელთაგან, მატია ბრულჩმა და დრაგან კადიკოვსკიმ, მაკედონიელთაგან კი ზორან ბალდოვალიევმა. ბალდოვალიევის ორი გოლი რომ არა, ისედაც შერცხვენილ შინდაბრუნებულ „ბელასიცას“ თვითმფრინავიდან თავი არ გამოეყოფოდა.

სლავოლუბ მუსლინის „ცრვენა ზვეზდა“ ხუთგოლიანებში გაერია. მატჩის დაწყებიდან ერთი საათი არ იყო გასული, მასპინძლებმა საქმე რომ მოამთავრეს. ნიკოლა ჟიგიჩს 42 წუთი დასჭირდა ჰეთ თრიქის გასაფორმებლად, სამივე საგოლე პასი კი ბრანკო ბოშკოვიჩმა უძღვნა. „რა ვთქვა 0:5-ის შემდეგ?“ — აღმოხდა „ნისტრუს“ მწვრთნელ იური გიის ნამატჩევს.

ხუთმა გუნდმა 0:3 წააგო და მათ შორის ორი ქართული გამოერია. ევროპას მიბმულმა ყაზახურმა „ჟენისმა“ პრაღაში „ჟიჟკოვთან“ პირველ ტაიმს გაუძლო, მაგრამ ახმახ ჩეხებთან შესვენების შემდეგ ვეღარაფერი გააწყო. თამაშის ბედი შვიდ წუთში გადაწყდა, როცა „ჟენისს“ ზედიზედ ორჯერ მიართვეს კარში ბურთი. მასპინძელმა პეტერ შიკოლანდამ შეხვედრის მიწურულს მესამეც მიაყოლა და სტუმრებს ასტანაში დესერტად გაატანა.

მინსკის „დინამოს“ „ბრონდბიუ“ მტრულად დახვდა, რადგან მესამე წუთზევე ანდრეას იაკობსენმა ანგარიში გახსნა, შესვენებამდე მორტენ ვიგჰორტმა სხვაობა ორამდე გაზარდა, მატჩის ბოლოს კი „თეთრი რუსები“ რუბენ ბაგერმა მესამედ დაზაფრა.

## უეფას თასი

UEFA CUP — საკვალიფიკაციო ეტაპი. პირველი მატჩი — UEFA CUP

| | | | |
|---|---|---|---|
| ატირაუ (ყაზახეთი) | 1:4 | ლევსკი (ბულგარეთი) |
| ნემანი (ბელარუსი) | 1:1 | სტიაუა (რუმინეთი) |
| დინამო (ალბანეთი) | 0:4 | ლოკერენი (ბელგია) |
| ეკრანასი (ლიტვა) | 1:1 | დებრეცენი (უნგრეთი) |
| ლევადია (ესტონეთი) | 1:3 | ვარტექსი (ხორვატია) |
| ჟიჟკოვი (ჩეხეთი) | 3:0 | ჟენისი (ყაზახეთი) |
| ცემენტარნიცა (მაკედონია) | 0:0 | კატოვიცე (პოლონეთი) |
| მიუპა (ფინეთი) | 3:2 | იანგ ბოისი (შვეიცარია) |
| პუბლიკუმი (სლოვენია) | 7:2 | ბელასიცა (მაკედონია) |
| კერნტენი (ავსტრია) | 2:1 | გრინდავიკი (ისლანდია) |
| ტორპედო (რუსეთი) | 5:0 | დომანანო (სან მარინო) |
| პეტრჟალკა (სლოვაკეთი) | 1:0 | დუდელანჟი (ლუქსემბურგი) |
| აპოელი (კვიპროსი) | 2:1 | დერი სიტი (ირლანდია) |
| ქუიმბრან თაუნი (უელსი) | 0:3 | მაკაბი (ჰაიფა, ისრაელი) |
| ეტცელა (ლუქსემბურგი) | 1:2 | კამენ ინგრადი (ხორვატია) |
| ესბიერგი (დანია) | 5:0 | სანტა კოლომა (ანდორა) |
| დინამო (რუმინეთი) | 5:2 | მეტალურგსი (ლატვია) |
| ნორდსიელანდი (დანია) | 4:0 | შირაქი (სომხეთი) |
| ვლაზნია (ალბანეთი) | 0:2 | დანდი (შოტლანდია) |
| მიოლდე (ნორვეგია) | 2:0 | კლაქსვიკარი (ფარერები) |
| ვადუცი (ლიხტენშტაინი) | 0:1 | დნიპრო (უკრაინა) |
| ლიტექსი (ბულგარეთი) | 0:0 | ზიმბრუ (მოლდოვა) |
| კოლრეინი (ჩრდ. ირლანდია) | 2:1 | ლეირია (პორტუგალია) |
| ბირკირკარა (მალტა) | 0:5 | ფერენცვაროში (უნგრეთი) |
| მალმიო (შვედეთი) | 4:0 | პორტდაუნი (ჩრდ. ირლანდია) |
| გროცლინი (პოლონეთი) | 2:0 | ატლანტასი (ლიტვა) |
| ცრვენა ზვეზდა (სერბეთი) | 5:0 | ნისტრუ (მოლდოვა) |
| ოლიმპია (სლოვენია) | 1:0 | შელბურნი (ირლანდია) |
| ბრონდბიუ (დანია) | 3:0 | დინამო (ბელარუსი) |
| რუნავიკი (ისლანდია) | 1:3 | ლინი (ნორვეგია) |
| ოდენსე (დანია) | 1:1 | ტვმკ (ესტონეთი) |
| ჰაპოელი (თელ ავივი, ისრაელი) | 1:1 | ბანანცი (სომხეთი) |
| ჟელეზნიჩარი (ბოსნია) | 1:0 | ანართოსისი (კვიპროსი) |
| აიკ (შვედეთი) | 1:0 | ფილკირი (ისლანდია) |
| მანჩესტერ სიტი (ინგლისი) | 5:0 | ლანსანტფრეიდი (უელსი) |

ბულგარულმა „ლიტექსმა“ მოლდოვურ „ზიმბრუს“ იმიტომ ვერ მოუგო, რომ შესვენებამდე ხუთი წუთით ადრე კირილ ნიკოლოვმა თერთმეტმეტრიანი უშნოდ შეასრულა — ბურთი კარს ააცილა.

ალბანურ „ვლაზნიას“ გიორგი ნემსაძის „დანდიმ“ ორჯერ უჩხვლიტა. პირველად შესვენებამდე, როცა სტივ ლოველმა დააწინაურა შოტლანდიელები. მერე კი მეორე ტაიმის დასაწყისში, სანამ ალბანელები გაიღვიძებდნენ, ნაჩო ნოვომ იხეირა.

უეფას თასზე პირველი გოლი ყაზახურმა „ატირაუმაც“ იზეიმა. გოლის ავტორი რეჯეფმურატ აგაბაევია, რომელმაც მაშინ გაიტანა, როცა სოფიის „ლევსკი“ უკვე ოთხით დაწინაურებულიყო. ბულგარელებმა ოთხივე პირველ ტაიმში შეაგდეს და ამ საქმეს სულ 23 წუთი მოანდომეს.

მათ, რომელთაც ოდესღაც სახელოვანი „სტიაუას“ ფრე გაუკვირდათ, ვეტყვით, რომ გროდნოში რუმინული გუნდი ოთხი ძირითადი მოთამაშის გარეშე ჩავიდა.

**გაჭა ხუციშვილი**



გიორგი ნემსაძე და დანდელები ალბანეთიდან გახარებულნი წავიდნენ

# ინგლისი. პრემიერლიგა 2003-2004

*დღეს პრემიერლიგა იწყება. კიდევ ერთხელ იწყება ფეხბურთის ერთ-ერთი საუცხოო და ფერადი შეჯიბრი, რომელიც, სხვა რომ არა იყოს რა, მთელს წელიწალს გაატანინებს თავს ფეხბურთის მოყვარულს.*

*პრემიერლიგა კიდევ ერთხელ მოდის თავისი წარმოუდგენლად ხასხასა მინდვრებით, ომით, სირბილითა და ძვლების ღრჭიალით, მოუსვენრობით, უტეხობით და ნამდვილი გმირებით, მოთამაშეთა და მაყურებელთა გამოკვეთილი და მიმზიდველი ხასიათებით, მოულოდნელობებითა და ჯიგრით.*

*ფეხბურთის გულშემატკივარმა იცის: ერთი პრემიერლიგური საღამო მის მაცქერალს სიცოცხლეს უხანგრძლივებს. იმის მიუხედავად, რომ გულსაც აჩქარებით აუძგერებს ხოლმე და ნერვებსაც აუწნავს. პრემიერლიგა — უზარმაზარი ბაბილონის გოდოლი, ათას ენაზე მოლაპარაკე და ათასი საფეხბურთო კულტურით გაჯერებული, მაინც რჩება ინგლისური საფეხბურთო სულის მატარებელ შეჯიბრად და მასში მაინც თამაშის ინგლისური ხერხი და პრინციპი მოქმედებს.*

*დღეს პრემიერლიგა იწყება და იწყება ინტრიგაც, რადგან, იმის მიუხედავად, რომ პრემიერლიგას ჰყავს თავისი გოლიათები და ცეროდენები, ინგლისურ მინდორზე ცეროდენასაც გოლიათური ძალა ეძლევა. ამით კი ფეხბურთის მთავარი პრინციპი, მისი დემოკრატიულობა ამოქმედდება ხოლმე. ლაღი, დაუნდობელი, სწრაფი, ჯენტლმენური, გემრიელი, კეთილი და ავი შეჯიბრი — პრემიერლიგა დღეს შუადღით იწყება.*

*უყურეთ პრემიერლიგას!*




# Let's Go
## მაკალამბეი მაკალა

პრემიერლიგის ოცივე გუნდზე ცალ-ცალკე და ვრცლად რომ დაგვეწერა, რომან აბრამოვიჩისა და „ჩელსის" ტრფობის ამბავს მთელი გაზეთი არ ეყოფოდა. ამიტომ ოცეულის სეზონისწინა სამზადისის შესახებ შეძლებისდაგვარად თანაბრად, ერთ გვერდზე მოგითხრობთ.

ფული? ულევი, სურვილი? უსაზღვრო. ნაქები სუფრისა არ იყოს, რა გინდა სული და გული. აგერ, რომან აბრამოვიჩი, იქვე მისი მილიონები და თითქმის ახდენილი ოცნება.

მთავარია, კლაუდიო რანიერის თითი. იტალიელმა გაიშვირა, ჩუკოტკის გუბერნატორმა იყიდა. გაიშვირა, იყიდა და ასე რამდენჯერმე. ბედნიერებაა მწვრთნელისთვის? ალბათ, მაგრამ სადაც ბედნიერებაა, გამოცდაც მკაცრი უნდა გაიარო. ვინ და რატომ შეიძინა „ჩელსიმ" და რა გამოვიდა აქედან, სლოვაკეთის „ჟილინა" ვერა, მაგრამ ხვალ „ენფილდზე" „ლივერპული" გამოსცდის.

ედ დე გუი გაუშვეს, კარი კარლო კუდიჩინს ანდეს და კიდევ სამი მეკარე მიიყვანეს „არისტოკრატულ" უბანში. „სანდერლენდიდან" იურგენ მახო, „კიევოდან" მარკო ამბროზიო, „პსჟ"-დან კი მავანი ივ მაკალა მაკალამბეი.

ჯანფრანკო ძოლას შემცვლელად რანიერის ყოფილი „ჩაქუჩი" ჯო კოული მიაჩნია. კოულის ზურგს ვერონსა და ნჯიტაპის ჩააბარებს. დაცვას ნაწრთობი მარსელ დესაი მიხედავს, რომელსაც უეინ ბრიჯი და გლენ ჯონსონი ჯეელობას გაახსენებენ. თავდამსხმელთა არჩევანი კი იმდენად მრავალფეროვანია, რომ ჯიმი ფლოიდ ჰასელბაინკს სათადარიგოთა სკამთან დამეგობრება მოუწევს.

„ჩელსიში" ველარ იხილავთ გრემ ლე სოს, ჯოდი მორისს და ალბერტ ფერერს. კიდევ რამდენიმე უცნობი ფეხბურთელი აბრამოვიჩის გეგმებს უსახელოდ შეეწირა.

„არისტოკრატების" შემდეგ სხვებზე მეტად „მანჩესტერ იუნაიტედმა" იყოჩაღა. როგორც წესი, სერ ალექსმა ზუსტად იმდენი ფეხბურთელი დაიმატა, რამდენიც სჭირდებოდა და არც ერთით მეტი.

შოტლანდიელი არჩევანში თითქმის არასოდეს ცდება. რჩეულთაგან ორმა ეს უკვე „ჩარითი შილდის" მატჩში, „არსენალის" წინააღმდეგ დაამტკიცა. ტიმ ჰოვარდი და ერიკ ჯემბა-ჯემბა მყისვე შეეწყნენ ფერგიუსონის იდეებს.

კრისტიანო რონალდოს, კლებერსონსა და დავიდ ბელიონს თავისი შესაძლებლობების დამტკიცების საშუალება აუცილებლად ექნებათ.

სერ ალექსმა ბექემი მარადწყნარი სოლსკიაერით აანაზღაურა და მწვრთნელი არც ამ შემთხვევაში შემცდარა, თუმც, ცხადია, ნორვეგიელი ბექემი არაა.

„მანჩესტერს" „რეალში" წასულის გარდა ბლანი, ვერონი და ლუკ ჩედვიკი გამოაკლდნენ, სამი-ოთხი სხვა ფეხბურთელი კი ფერგიუსონმა სხვადასხვა გუნდში გააგზავნა პრაქტიკაზე.

ორი ვეშაპის კვალად, სხვებზე მეტად ზაფხულში „ბლექბერნი" დაფუსფუსებდა. ეს ფუსფუსი მას შემდეგ დაიწყო, „ჩელსის" რომ დემიენ დაფი მიჰყიდეს, „ბირმინგემს" კი — დევიდ დინი.

სანაცვლოდ „ბლექბერნ როვერსმა" ორი ნახევარმცველი გადაიბირა, სტივენ რიდი „მილუოლიდან" და ბრეტ ემერტონი „ფეიენოორდიდან", ასევე მცველები: ლორენცო ამორუზო „რეინჯერსიდან", ვრატისლავ გრეშკო კი „პარმადან". კიდევ ერთი ნამატი გერმანიის რეგიონალლიგელი მეკარე დევიდ იელდელია, რომელიც „შტუტგარტ კიკერსს" წაჰგვარეს. როგორც ხედავთ, გრემ სუნესმა კლუბს ცოტაოდენი მოგებაც მოუტანა და საკმაოდ გამოცდილი მოთამაშეებითაც შეავსო. კიტ გილესპი, ჰენინგ ბერგი და ჰაქან შუქური „ბლექბერნს" დაემშვიდობნენ.


რომან აბრამოვიჩი

ძალიან მონდომებული იყო გლენ ჰოდლის „ტოტენჰემი". „სამამლეთი" ტედი შერინგემმა, შტეფან ფროინდმა და მისმა სეხნია ივერსენმა დატოვეს. ჰოდლს განსაკუთრებით შეტევაზე შესტკივა გული. ალბათ ამიტომაც დაახვავა ბლუჯა-ბლუჯა მეგოლეები ლონდონში. რობი კინს ხვალიდან ელდერ პოსტიგა, ფრედერიკ კანო და ბობი ზამორა დაეხმარებიან. ზამორა „ბრაიტონში" თამაშობდა და ბლომად გოლებიც გაუტანია, ასე რომ, მისი ნახვა პრემიერლიგაში საინტერესო იქნება. ერთადერთი მცველი, ვინც „ტოტენჰემს" შეემატა, სამხრეთაფრიკელი მბულოლო მაბიზელა გახლავთ.

არანაკლებად შეკაზმული თავდასხმის ხაზი ეყოლება „ბოლტონსაც". იური ჯორკაეფი და ჯეი ჯეი ოკოჩა მარიო ჟარდელის საგოლე ალღოთი არაერთ მეტოქეს დააწიოკებენ. ივან კამპო ბოლტონში დარჩა და მას „ლიონის" მცველი ფლორენ ლავილი შეუამხანაგდება. სემ ალარდაისის ნახევარდაცვის ხაზს კი „ოლიმპიაკოსიდან" გადაბრძანებული სტილიანოს იანაკოპულოსი შეავსებს. მთავარია, რომ მისი გვარი მაისურაზე როგორმე დაეტიოს.

„ლივერპულის" ფრანგმა თავკაცმა თანამემამულეები მოხვეტა. „ლე ავრიდან" ფლორენ სინამა პონგოლეს და ანტონი ლეტალეს „ლივერპული" ალირსა, მცველი კარლ მედიანი კი „სენტ ეტიენს" დასტყუა. მერსისაიდელთა დაცვას „ფულემიდან" გადაყვანილი სტივ ფინანიც დაეხმარება, მაიკლ ოუენს კი — ავსტრალიელი ჰარი კიუელი. პატრიკ ბერგერმა და ბერნარ დიომედმა კლუბს გამოსამშვიდობებლად ხელი დაუქნიეს.

ლონდონის „არსენალი" წლეულს ძალიან გაძუნწდა. კლუბი ახალ სტადიონს აშენებს, რომელმაც 400 მილიონი გირვანქა ჩაყლაპა და ფეხბურთელების საყიდლად ფული აღარ ჰყოფნის. არსენ ვენგერმა დევიდ სიმენი იენს ლემანით შეცვალა და ორი ყმაწვილკაცი, მწვრთნელის თქმით, დიდი მომავლის მქონე ბიჭები დაიმატა. შვეიცარიელი ფილიპ სენდეროსი „სერვეტიდან" და გაელ კლიში „კანიდან" — ორივე ახალწვეული მცველია.

ბობოლათაგან ყველაზე მიძინებული „ნიუკასლი" იყო. ჯორდებმა მეკარე ჯონ კარელსი გაუშვეს, ლი ბოიერი კი დაიმატეს. „ჯორდების" სატრანსფერო საქმეები ამით დასრულდა.

ასევე იზარმაცა „ევერტონმა". მცველი ჯოზეფ იობო „მარსელისგან" შეიძინა, ჩინეთიდან კი შუახაზელი ლი ტიე. დევიდ მოიესი კვლავ უეინ რუნისა და ტომაშ რაძინსკის იმედზე იქნება, თუმც, რუნის და კიდევ ერთ ფორვარდს, კევინ კემპბელს ტრავმების ბოლომდე მოშუშება დასჭირდებათ. შესაძლოა, რომ „ევერტონმა" „არსენალს" თავისი გამოზრდილი მეგოლე ფრენსის ჯეფერსი უკანვე წაჰგვაროს,

ბირმინგემული გუნდებიდან „ასტონ ვილას" შენაძენებით „ბირმინგემმა" აჯობა. „ვილამ" გევინ მაკანი ნახევარდაცვას შეაწია, ხოლო სანდერლენდელი ტომას სორენსენი კარის დასაცავად დაიმატა.

ფინანსურად წელგამართულმა „ბირმინგემმა" „ბლექბერნს" დევიდ დინი დასცინცლა, „როსარიო სენტრალს" — არგენტინელი ფორვარდი ლუსიანო ფიგუეროა, კრისტოფ დიუგარი გუნდში დარჩა, მეკარე მაიკ ტეილორი კი „ფულემიდან" გადაიყვანეს.

უეფას თასისთვის გამზადებულმა „საუთჰემპტონმა" „ჩელსიდან" გრემ ლე სო, „რეინჯერსიდან" კი ნეილ მაკანი დაიმატა.

„მიდლსბრომ" ვიგოს „სელტას" ნახევარმცველი დორივა გადაიბირა, „ასტონ ვილადან" კი მცველი ალან რაიტი. ჯერემი ნჯიტაპი რომან აბრამოვიჩის ფულს გაჰყვა, ხოლო ალან ბოკშიჩი გაათავისუფლეს.

„ჩარლტონ ატლეტიკმა" სეზონის დაწყებამდე რამდენიმე დღით ადრე დაიქუხა. იტალიელი პაოლო დი კანიოთი გაძლიერდა, ირლანდიელი მეტ ჰოლანდი კი „იფსვიჩმა" 750 ათასი გირვანქის სანაცვლოდ დაუთმო.

პრემიერლიგაში გადაბრძანებულთაგან ყველაზე ჯიბესქელი პატრონი „პორტსმუთს" ჰყავს — სერბი მილიონერი მილან მანდარიჩი. პორტსმუთელების მიერ შეძენილი ხუთი ფეხბურთელის კლასში დაეჭვება ძნელია. აი, ისინი: ტედი შერინგემი, პატრიკ ბერგერი, ბორის ჟივკოვიჩი, იაკუბუ აიეგბენი და „ვიტესის" აწ უკვე ყოფილი კაპიტანი, სერბი დეიან სტეფანოვიჩი. მილან მანდარიჩის გუნდს ამ შემადგენლობით პრემიერლიგაში ადგილის შენარჩუნება არ უნდა გაუჭირდეს.

„ლესტერს" სხვებთან შედარებით თხელი ჯიბე აქვს, მაგრამ ლეს ფერდინანდის, კიტ გილესპისა და „კიევოს" ნახევარმცველ ლილიან ნალისის გადაბირება მაინც შეძლო.

„ვულვერჰემპტონის" დაცვა ოლეგ ლუჟნით, შახტარელი ისააკ ოკორონკვოთი და სედანელი ანრი კამარათი გამდიდრდა, შეტევის ხაზი კი ტოტენჰემელი შტეფან ივერსენით.

მოჰამედ ალ ფაიედის „ფულემიდან" შვიდი ფეხბურთელი წავიდა. ეგვიპტელ მილიარდელს გუნდისთვის ფული აღარ ემეტება და საშუალო დონის მოთამაშეები დაიმატა — ჟერომ ბონისელი, მარტინ ჯეტუ და მორიტც ვოლცი, რომელიც „არსენალმა" ერთი სეზონით დაუთმო.

„ლიდსმა" თითქმის ყველა ძლიერი ფეხბურთელი გაყიდა, მაგრამ ხაზინა მაინც ვერ შეავსო. ამიტომ სამი ფეხბურთელი იჯარით აიყვანა. ჯოდი მორისი „ჩელსიდან", ზუმანა კამარა „ლანსიდან" და დიდიე დომი პსჟ-დან.

**ვაჟა ხუციშვილი**

# მონაწილეთა განაცხადები

## მანჩესტერი

### მეკარეები

| | | |
|---|---|---|
| 1 | ფაბიენ ბარტეზი | 32 |
| 13 | როი კეროლი | 25 |
| 19 | რიკარდო ლოპესი | 31 |
| 24 | ტიმ ჰოვარდი | 24 |
| | ლუკ სტილი | 18 |

### მცველები

| | | |
|---|---|---|
| 2 | გარი ნევილი | 28 |
| 3 | ფილიპ ნევილი | 26 |
| 4 | უესლი ბრაუნი | 23 |
| 6 | რიო ფერდინანდი | 26 |
| 22 | ჯონ ოში | 22 |
| 27 | მიკაელ სილვესტრი | 26 |

### ნახევარმცველები

| | | |
|---|---|---|
| 8 | ნიკი ბათი | 28 |
| 11 | რაიან გიგზი | 29 |
| 15 | კლებერსონი | 24 |
| 16 | როი კინი | 32 |
| 17 | ერიკ ჯემბა-ჯემბა | 22 |
| 18 | პოლ სქოულზი | 28 |
| 25 | კვინტონ ფორჩუნი | 26 |
| 26 | დენი პაფი | 20 |
| 31 | დარენ ფლეტჩერი | 19 |
| | ფლორიბერ ნგალულა | 16 |

### თავდამსხმელები

| | | |
|---|---|---|
| 7 | კრისტიანო რონალდო | 18 |
| 9 | დავიდ ბელიონი | 20 |
| 10 | რუუდ ვან ნისტელროოი | 27 |
| 20 | ოლე გუნარ სოლსკიაერი | 30 |
| 21 | დიეგო ფორლანი | 24 |

მწვრთნელი: ალექს ფერგიუსონი

## ნიუკასლი

### მეკარეები

| | | |
|---|---|---|
| 1 | შეი გივენი | 27 |
| 13 | სტივ ჰარპერი | 28 |
| 24 | ტონი კეიჯი | 29 |

### მცველები

| | | |
|---|---|---|
| 3 | რობი ელიოტი | 29 |
| 5 | ენდი ობრაიენი | 24 |
| 12 | ენდრიუ გრიფინი | 24 |
| 14 | უეინ ქუინი | 26 |
| 18 | აარონ ჰიუზი | 25 |
| 19 | ტიტუს ბრემბლი | 21 |
| 27 | ჯონათან ვუდგეიტი | 23 |
| 30 | სტივენ კოლდუელი | 22 |
| 34 | ნიკოს დაბიზასი | 30 |
| 35 | ოლივიე ბერნარი | 23 |

### ნახევარმცველები

| | | |
|---|---|---|
| 4 | ნოლბერტო სოლანო | 28 |
| 6 | კლარენს აკუნია | 28 |
| 7 | ჯერმენ ჯენასი | 20 |
| 8 | კირონ დაიერი | 24 |
| 11 | გარი სპიდი | 33 |
| 17 | დარენ ამბროზი | 19 |
| 22 | ჯეიმი მაკლენი | 24 |
| 29 | ლი ბოიერი | 26 |
| 32 | ლორან რობერი | 28 |
| 45 | უგო ვიანა | 20 |

### თავდამსხმელები

| | | |
|---|---|---|
| 9 | ალან შირერი | 33 |
| 10 | კრეიგ ბელამი | 24 |
| 16 | კარლ კორტი | 25 |
